საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი - ქართული კულტურის ციფრული მატიანე

გიორგი ჩართოლანი

საკვანძო სიტყვები: *საზოგადოებრივი მაუწყებელი, არქივი, ვიდეოფონდი, აუდიოფონდი, ფოტოფონდი, გაციფრულება, კულტურული მემკვიდრეობა*

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში დაცული მასალების ციფრულ ფორმატში გადატანის მნიშვნელობას, რაც ქმნის ქართული კულტურის ელექტრონულ მატიანეს. არქივში დაცული აუდიო, ფილმო-ფოტო და ვიდეო მასალა მოიცავს მეოცე საუკუნის ქართულ და მსოფლიო საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. სამწუხაროდ, ფონდებში დაცული ბევრი მასალა, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, დაიკარგა ან განადგურდა. მიუხედავად ამისა, საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალა ითხოვს აუცილებელ ციფრულ ფორმატში გადაყვანას, რათა არ მოხდეს მათი ბუნებრივი დაზიანება ფირების სიძველის გამო. საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის დიგიტალიზაციის პროცესი ფონდებში დაცულ მასალას ხელმისაწვდომს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ციფრულ ფორმატში გადატანილი საფონდო მასალები გამოიყენება არა მხოლოდ მედიაპროდუქციის შექმნისთვის, არამედ მეოცე საუკუნის კულტურის ისტორიის შესწავლისთვის. ეს ნაშრომი პირველი მცდელობაა, სამეცნიერო საზოგადოებას გააცნოს მაუწყებლის არქივში დაცული მასალების მნიშვნელობა და ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში - მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე კულტუროლოგიური თუ სახელოვნებო პროცესების კვლევას.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი მაუწყებელია საქართველოში, რომელიც წარმოადგენს 1956 წელს დაარსებული სახელმწიფო ტელევიზიის და უფრო ადრე, 1925 წელს შექმნილი რადიომაუწყებლობის არა მხოლოდ სამართალმემკვიდრეს, არამედ სახელმწიფო სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიის ათეული წლების განმავლობაში შექმნილი მასალის ერთადერთ მესაკუთრეს.

მრავალი წლის განმავლობაში, სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიამ შთამომავლობას დაუტოვა ისეთი პროდუქცია, რომლის დიდი ნაწილი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიო კულტურული მემკვიდეობის ნიმუშებად. უნდა აღინიშნოს, რომ არქივის ფონდებში დაცულ მასალებს აქვს არა მხოლოდ ისტორიული, ან კულტუროლოგიური მნიშვნელობა, არამედ მათ დღესაც აქტიურად იყენებს თავად საზოგადოებრივი მაუწყებელიც და საქართველოში არსებული თითქმის ყველა ტრადიციული თუ ახალი მედიასაშუალება. უფრო მეტიც, ამ მასალით ინტერესდება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტელე-რადიო კომპანია, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მაუწყებლები.

ტრადიციული მედიასაშუალებები, დღეს, ციფრულ ეპოქაში, ეტაპობრივად გადადიან მულტიმედიურ მაუწყებლობაზე და ბუნებრივია, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელიც დადგა იმ გამოწვევის წინაშე, რასაც ციფრული, მრავალარხიანი მაუწყებლობა გულისხმობს.

იმ პერსპექტივის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო მეტად ხდება ინტერნეტმომხმარებელი, საზოგადებრივი მაუწყებლის წინაშე გაჩნდა აუცილებლობა - მაქსიმალურად დატვირთოს ვებმაუწყებლობა მრავალფეროვანი, საინტერესო, განსხვავებული ჟანრისა და ფორმატის

პროდუქციით. ამ გამოწვევამ კიდევ უფრო დააჩქარა არქივში დაცული მასალების ციფრულ ფორმატში გადაყვანის აუცილებლობა.

სწორედ, მაუწყებლის არქივის ციფრულ მატარებლებზე გადატანის პროცესზე, მის ფონდებში დაცული მასალის შენახვაზე, რესტავრაცია-რეკონსტრუქციაზეა დამოკიდებული, რამდენად ხარისხიანი, სრულყოფილი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი იქნება ციფრული მედიასაშუალებებისთვის წარმოებული პროდუქცია, რამდენად იქნება ის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

საზოგადოებრივ მაუწყებელს, ერთადერთს, მისი უნიკალური არქივის გამო, შეუძლია შექმნას სრულყოფილი თემატური - კულტურის არხი, რომელიც არქივის ფონდებში დაცული, თითქმის ასწლიანი მასალის საფუძველზე, შეძლებს დაიკავოს მნიშვნელოვანი ნიშა საზოგადოების კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

ამას გარდა, მაუწყებლის არქივის ფონდებში დაცული მასალის სრულყოფილი შენახვა და მისი ციფრულ მატარებლებზე გადატანა უკვე გულისხმობს იმ კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენას, რომელიც ამ მაუწყებელმა შთამომავლობას შემოუნახა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში დაცულია სხვადასხვა ტიპის მატარებლებზე ოპტიკური და მაგნიტური მეთოდით ჩაწერილი ანალოგური კინო, ვიდეო, აუდიო და ფოტო მასალები. არქივი ახორციელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის საკუთრებაში არსებული, მის მიერ წარმოებული, დაკვეთილი, ან შესყიდული აუდიო, ვიდეო, კინო-ფოტო დოკუმენტების დედნებისა და ასლების ფონდებში შენახვასა და დაცვას. მათ შორისაა, ქართული სატელევიზიო ფილმების სტუდიის (1968 წლიდან) გადაღებული მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, რომელთა შემქმენელებიც არიან მსოფლიოში ცნობილი კინოხელოვანები: სცენარისტები, რეჟისორები და ოპერატორები. ეს ფილმები ქართული კულტურის მნიშნელოვან საგანძურს წარმოადგენს და მათი ციფრულ ფორმატში გადატანით, ისინი ხელმისაწვდომი ხდება მრავალმილიონიანი აუდიტორიისთვის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში გაერთიანებულია სამი ფონდი: აუდიოფონდი, ფილმო-ფოტოფონდი, ვიდეოფონდი.

აუდიო ფონდი წარმოადგენს არქივის ყველაზე ძველ ფონდს. იგი დაფუძნებულია საქართველოს რადიოს მასალებზე, რომელმაც ამიერკავკასიის რეგიონში პირველმა დიწყო მაუწყებლობა. 1925 წლის 23 მაისს გადაიცა პირველი რადიოპროგრამა-რადიოკონცერტი მარო თარხნიშვილის ფოლკლორული ანსამბლის მონაწილეობით. 1927 წლიდან კი აწარმოებს რეგულარულ გადაცემებს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1940-იანი წლებიდან საქართველოს რადიოში დაინერგა ხმის მაგნიტური ჩაწერის ტექნიკური საშუალება, რითაც საფუძველი ჩაეყარა უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის შექმნას და შენახვას. პირდაპირი ეთერის სპეციფიკამ გამოიწვია არტისტული კოლექტივების ჩამოყალიბება, სადაც თავი მოიყარეს ქართული მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების კორიფეებმა, ლიტერატურის მოღვაწეებმა. შემსრულებლები: ვანო სარაჯიშვილი, მერი ნაკაშიძე, დავით ანდღულაძე, დავით გამრეკელი და სხვა; კომპოზიტორები: დიმიტრი არაყიშვილი, შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე და სხვა; ქართული ფოლკლორი: მარო თარხნიშვილი, ძმები ერქომაიშვილები, სანდრო კავსაძე, დები იშხნელები და სხვა; მწერლები და პოეტები: აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე, გრიგოლ რობაქიძე, შალვა **დადიანი:**, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა.

ამ ფონდებში თავმოყრილია ქართული მეცნიერების, კულტურის, სპორტის, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყველა სფერო: შესრულების, გამოსვლების, რეპორტაჟების, რადიოსპექტაკლების, თეატრალური სპექტაკლების ჩანაწერებისა და ტრანსლაციების სახით. მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოსა და თბილისში თავი მოიყარეს ომში მყოფი ქალაქებიდან ევაკუირებულმა ხელოვნებისა და კულტურის (მათ შორის მსოფლიო მნიშვნელობის) მოღვაწეებმა, რამაც მსოფლიოში ცნობილი შემსრულებლებით განსაკუთრებით გაამდიდრა რადიოს ფონდები. საქართველოს რადიო ამავე დროს იყო ერთადერთი ხმის ჩამწერი სტუდია, ხმის ჩამწერ ფირმა „მელოდიას“ ჩამოყალიბებამდე. ცნობილი შემსრულებლები სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ საქართველოს რადიოს. სპეციალურად რადიოსთვის კეთდებოდა ჩანაწერები სტუდიაში, საკონცერტო დარბაზებში, ან კონცერტის ტრანსლა-

ციის დროს: ფეოდორ შალიაპინი, დავით ოისტრახი, მსტისლავ რასტროპოვიჩი, სტანისლავ და ჰენრიხ ნეიჰაუზები, გრიგორ და ლეონარდო კოგანები, ბენიამინო ჯილი, ვან კლიბერნი და სხვა.

ფონდები მდიდარია საქართველოში სტუმრად მყოფი მსოფლიოში ცნობილი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების ჩანაწერებით: დავით ლენგი, ბრაჰმა კუმარი, ლევ და ალექსანდრე ტოლსტოები, ანა ახმატოვა, არსენი ტარკოვსკი, ნაზიმ ჰიქმეთი, რასულ გამზათოვი და სხვა. გარდა ამისა, რადიოს ფონდში დაცულია ამიერკავკასიაში პირველი ხმის ჩამწერი ინგლისური ფირმა „გრამაფონის“ აღდგენილი და გასუფთავებული ჩანაწერები, 1901-1914 წლებში სწორედ ამ სტუდიაში ჩაწერა ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა აკაკი წერეთელმა რამდენიმე ლექსი საზოგადოების თხოვნით.

ფონდი მდიდარია ადგილობრივი წარმოების თუ უცხოური ჩანაწერებით და წარმოადგენს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელ საგანძურს, XX საუკუნის ხმოვან მატიანეს. ფონდი ყოველდღიურად ივსება საზოგადოებრივი რადიოს ახალი პროდუქციით, კერძო კოლექციებიდან და არქივებიდან მოზიდული მასალით.

ფონდში დაცულია 3 000 000, ძველი ლენტური ანალოგური ფონოგრამა და ჩანაწერები DATI და CD მყარ მატარებლებზე. 2007 წლიდან კი დაიწყო ციფრულ მატარებლებზე აუდიო მასალების გადატანა. აციფრული მასალა და მონაცემთა შესახებ სრული ინფორმაცია ინახება ახალ კომპიუტერულ ბაზაში.

ფილმოფონდში დაცული მასალების საერთო რაოდენობა: ერთეული - 16 463; ყუთები - 55 760. ის ერთერთი ძველი ფონდია აუდიო ფონდის შემდეგ და მისი ჩამოყალიბება ტელეხედვის სტუდიის ამუშავებიდან იწყება. საქართველოს ტელევიზიამ მაუწყებლობა დაიწყო 1956 წლიდან, შესაბამისად, ფილმოფონდებში თავმოყრილია სპეციალურად ტელე ეთერისთვის კინოფირზე გადაღებული საკონცერტო ნომრები იმ დროს პოპულარული შემსრულებლების მონაწილეობით: მარო თარხნიშვილი და მისი ფოლკლორული გუნდი, ლილი გეგელია, სულიკო კოროშინაძე, მერი შილდელი, თამარ წერეთელი; არიები და სცენები საოპერო და საბალეტო სპექტაკლებიდან: ვახტანგ ჭაბუკიანი, მერი ნაკაშიძე, დავით გამრეკელი, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის და სხვათა მონაწილეობით. გამოსვლები, მიმართვები, მილოცვები და სხვა.

კინოარქივის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს უნიკალური მონიტორული (ტელემონიტო-რიდან 16 მმ. შექცევად კინოფირზე გადაღებული ხმოვანი (მაგნიტური ხმის ბილიკით) ფირები. ამ ტექნოლოგიით გადაღებულია პირდაპირ ეთერში მიმდინარე გადაცემები, ტრანსლაციები და სატელევიზიო თეატრის პირველი სპექტაკლები: „ბებრები“, რეჟისორი მერაბ ჯალიაშვილი; ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდები, მსახიობები: სესილია თაყაიშვილი და სანდრო ჟორჟოლიანი. ამავე სპექტაკლის თოჯინური ვერსია, ამავე მსახიობების თოჯინური პროტოტიპებითა და ხმით; ქართული თეატრის ისტორიის საეტაპო და უნიკალური სპექტაკლის ფრაგმენტები: „ჭინჭრაქა“, რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი, მსახიობები: სერგო ზაქარიაძე, მედეა ჩახავა, ზინა კვერენჩხილაძე, გიორგი გეგეჭკორი, კარლო საკანდელიძე, ბელა მირიანაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი; სახელმწიფო აკადემიური თეატრების სპექტაკლების ფრაგმენტები: „ფედრა“, მსახიობი: ზინა კვერენჩხილაძე, 1960-იანი წლები; „მდაბიონი“, მსახიობები: სოფიკო ჭიაურელი და გურამ საღარაძე, 1969 წელი. მასალაზე დაკვირვებიდან ჩანს, გადაცემაში გამოსაყენებელი სცენების წინასწარი გადაღების მეთოდი, ამაზე მეტყველებს დუბლები, რომლებიც გვხვდება ზოგიერთ მასალაში. გადაცემისთვის „თეატრი სტუდიაში“, წინასწარ ჩაიწერა ფრაგმენტი სპექტაკლიდან „მზიანი დღე“, მსახიობები: რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე, გოგი ქავთარაძე; გადაცემაში „მხატვრული კითხვის ოსტატები“, ქართული სცენისა და კინოს ლეგენდა ვერიკო ანჯაფარიძე რამდენჯერმე ცდის ლექსის ჩაწერას. ამავე რუბრიკაში ვხვდებით ქართული თეატრის და კინოს ვარსკვლავებს: აკაკი ვასაძეს, გურამ საღარაძეს; რეგიონული თეატრების სპექტაკლების ფრაგმენტებს; ლიტერატურულ გადაცემებს, პოეტებსა და მწერლებს სტუდიაში, მათ შორის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს: კონსტანტინე გამსახურდიას, შოთა ნიშნიანიძეს; უცხოელ მსახიობებსა და რეჟისორებს: ფრანგი მსახიობი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე ჟან ვილარი საქართველოს ტელევიზიის სტუდიაში; ასპასია პაპატანასიუ, მარჩელო მასტროიანი; ტონინო გუერა. ფონდებში დაცულია მუსიკალური და

იუმორისტული პროგრამები: „ღიმილის საათი“; კონკურსი „ახალგაზრდული ხმები“. ასევე, დაცულია XII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაციის სრული ჩანაწერი. 16 მმ. შექცევად კინოფირებზე, გამოსახულება + სინქრონული ფონოგრამა. შემონახულია სხვადასხვა რედაქციათა სიუჟეტები, ამავე რედაქციებში დამზადებული 1980-იანი წლების პირველი სატელევიზიო სარეკლამო რგოლები.

1968 წელს ოფიციალურად ყალიბდება სტუდია „ქართული ტელეფილმი“. სტუდიაში მოღვაწეობენ ცნობილი რეჟისორები: სოსო ჩხაიძე („თუში მეცხვარე“), მერაბ კოკოჩაშვილი („გზა“), ირაკლი კვირიკაშვილი („ქვევრი“), მიხეილ კობახიძე („ქორწილი“), ქართლოს და რამაზ ხოტივარები („ლაზარეს თავგადასავალი“), ზაალ კაკაბაძე („ორერა სრული სვლით“; „მწირი“), გოდერძი ჩოხელი („აღდგომა“), ლერი სიხარულიძე („ფეხბურთი უბურთოდ“), ნანა მჭედლიძე („გელა“), ლიანა ელიავა („ბზიანეთი“), ლანა ღოღობერიძე („წერილი შვილებს“), და სხვა. კინოფონდში დაცულია ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები მხატვრული, დოკუმენტური, ქრონიკალური, მუსიკალური, ანიმაციური ფილმების, ფილმსპექტაკლების და საფონდო მასალების დედნები და ასლები 35 მმ. ნეგატიურ და პოზიტიურ ფირებზე.

ფილმოფონდში დაცულია უძველესი, (ტირაჟირებული) ქართული და უცხოური კინოქრონიკები; მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ასლები: „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“; საქართველოს დამოუკიდებლობის 1918-21 წლების კინოქრონიკები; ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და წითელი არმიის შემოსვლა თბილისში 1921 წელს; ქართული მხატვრული, დოკუმენტური და მუსიკალური ფილმები; მსოფლიო კინოს შედევრები; ქართული მულტფილმები; ეს მასალები მაქსიმალურად სრულად ასახავს XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

ფოტო ფონდს საფუძველი ჩაეყარა 1961 წელს. ამ პერიოდში იწყება ყოველდღიური მაუწყებლობა. სხვადასხვა გადაცემა ფართოდ იყენებს ფოტო მასალებს. უფრო მოგვიანებით კი - სალიდებს, ფონის შესაქმნელად ან სილუსტრაციოდ. ფოტო ფონდებში დაცულია: საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მოღვაწეთა პორტრეტები და სამუშაო პროცესები სტუდიებში; სატელევიზიო გადაცემების ქუდები და ტიხრები; ისტორიული პიროვნებების, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენლების პორტრეტები და სამუშაო პროცესები; საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი მოვლენების, ლანდშაფტების, ქვეყნების, ქალაქების, რეგიონების, ისტორიული ძეგლების, ორიგინალური ფოტო მასალები და ასლები; სლაიდებში წარმოდგენილია ქართველი მხატვრების რეპროდუქციები. ფოტოების, სლაიდებისა და ნეგატივების დიდი ნაწილი დამუშავებულია (ქართველი მხატვრები და ტელევიზია) და გადატანილია ციფრულ მატარებლებზე.

ვიდეოფონდში დაცულია მასალები ვიდეოჩაწერის სისტემების დამკვიდრებიდან (1970 წლიდან) პირველი თაობის ფართო - Q და C ფორმატის საბჭოთა ვიდეომაგნიტოფონებზე КАДР-3 ПМ და КАДР-103 AC, ანალოგურ მატარებლებზე; VHS, SVHS და BETACAM ანალოგურ მატარებლებზე; ციფრულ DVCAM და DVD მატარებლებზე.

აქ თავმოყრილია: გადაცემების, სიუჟეტების, სატელევიზიო, დრამატული, საოპერო თუ საბალეტო თეატრების სპექტაკლების ჩანაწერები; კონცერტები, ლიტერატურის, ხელოვნების, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ამსახველი მასალები; გადაცემების ქუდები და ტიხრები; რეკლამები; ქართული და უცხოური მხატვრული, დოკუმენტური, სასწავლო, შემეცნებითი, ანიმაციური და მულტიპლიკაციური ფილმები; კინოჟურნალები და ალმანახები; გაცვლითი პროგრამების ჩანაწერები და სხვა.

ციფრულ მატარებელზე გადატანილია საქართველოს ტელევიზიის სატელევიზიო თეატრის 80 სპექტაკლი. ფონდი ინახავს მეოცე საუკუნის ქართული დრამატული თეატრის თითქმის ყველა საეტაპო სპექტაკლს. ელექტრონულ ფორმატში გადატანილია მეოცე საუკუნის ქართველ ხელოვანებზე მომზადებული გადაცემები, რითაც ქართული კულტურის ისტორიას შემორჩა მათი ცხოვრების და შემოქმედების ამსახველი უნიკალური მასალა.

ასე რომ, საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი უპირობოდ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ციფრულ მატიანეს და მისი მოვლა, გაფრთხილება და შენარჩუნება მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ქართული საზოგადეობისთვის. არ-

ქივი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უმეტესად განკუთვნილი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა მოხმარებისთვის, ციფრულ ფორმატში გადატანით, ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. დღეს ის აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით: ფილმებისა და გადაცემების წარმოებაში; სამეცნიერო საქმიანობაში; კულტურისა და ხელოვნების ისტორიის კვლევითი ნაშრომების შექმნისთვის; სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და სხვა.

ევროპის ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური არქივი ჩვენი ეროვნული საგანძურია, დასანანია, რომ წლების განმავლობაში, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, აქ დაცული მასალების დიდი ნაწილი განადგურდა ან დაიკარგა. მათ შორის, დაკარგულია პირველი ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფუნჯით ნახატი საქართველო". ასევე, წაშლილი და დაკარგულია რუსთაველის თეატრის ორი საეტაპო სპექტაკლი: რობერტ სტურუას „ხანუმა" და მიხეილ თუმანიშვილის „ანტიგონე". მათი ვიზუალური ვერსია არ შემოგვრჩა, თუმცა აუდიოფონდში დაცულია მათი აუდიო ჩანაწერი.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ მე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ხელმძღვანელს, პირველად მეძლევა შესაძლებლობა - სამეცნიერო საზოგადოებას გავაცნო არქივის ფონდებში დაცული მასალების მნიშვნელობა სწორედ რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Anderson C. B., Preservation and Archiving of Digital Media, 2020 https://content.iospress.com/articles/information-services-and-use/isu200085 23/06/2025
- European Audiovisual Observatory, Digitisation and Online Exploitation of Broadcasters' Archives, 2010. https://rm.coe.int/digitisation-and-online-exploitation-of-broadcasters-archives/1680783c1e 23/06/2025
- Medhurst J., Professor of Media and Communication, Aberystwyth University, Wales Broadcast Archive: UK's First National Archive Shows Importance of Preserving Our Audiovisual History, 2023. https://theconversation.com/wales-broadcast-archive-uks-first-national-archive-shows-importance-of-preserving-our-audiovisual-history-201688 23/06/2025
- Moieni R., Roohi L., Ibrahim S., A Practical Approach in Digitizing Analogue Audio Assets, 2013.
- Stöger S., Kummer J. Ch., NOA, Austria – Broadcaster's Dilemma with Archive Asset Management: Torn Between Long-term and Production Requirements, Iasa Journal #48, February 2018.

GEORGIAN PUBLIC BROADCASTING ARCHIVE— A DIGITAL HISTORY OF GEORGIAN CULTURE

George Chartolani

Keywords: *Public Broadcaster, archive, video fund, audio fund, photo fund, digitization, cultural heritage*

This paper examines the critical importance of digitizing materials preserved in the Georgian Public Broadcaster's archive to create a comprehensive digital chronicle of Georgian culture. The archive's audio, film/photo, and video materials encompass significant events in Georgian and global public, political, and cultural life throughout the 20th century. Despite the unfortunate loss or destruction of some materials due to various subjective and objective factors, a substantial amount of content remains requiring urgent digitization to prevent further degradation due to the aging of the tapes. The digitization process will make these invaluable materials accessible to researchers, media producers, and the general public. Transferring these archival materials to digital formats not only facilitates the creation of media productions, but also supports the study of 20th-century cultural history. This work represents the first attempt to inform the scientific community about the significance of the materials preserved in the broadcaster's archive, thereby enhancing research into cultural and artistic developments both in Georgia and abroad.

The Georgian Public Broadcasting is the only broadcaster in Georgia serving as the successor to the state television established in 1956 and the radio broadcasting initiated in 1925. It is also the exclusive owner of the material produced by the state television and radio company over many years. The State TV-Radio Company has been producing content for decades, much of which is regarded as part of the world's cultural heritage. The materials stored in the archive hold significant historical and cultural value and are actively utilized by the Public Broadcaster itself and almost all traditional and new media organizations in Georgia. Additionally, television and radio companies worldwide, particularly from post-Soviet countries, have shown considerable interest in these materials.

In the digital age, traditional media are gradually transitioning to multimedia broadcasting, presenting a significant challenge for the Georgian Public Broadcaster. With society increasingly utilizing the Internet, there is a pressing need for the broadcaster to enrich web broadcasting with diverse, engaging productions spanning various genres and formats. This shift has accelerated the necessity to digitize archival materials.

The quality and accessibility of digital media products depend on the comprehensive digitization, preservation, restoration, and reconstruction of the broadcaster's archives. High-quality digital content that meets modern standards can only be achieved through this process. With its unique archive, the Public Broadcaster can establish a thematic-cultural channel to play a crucial role in the cultural and educational life of society, leveraging preserved materials.

Furthermore, digitizing and preserving the materials in the broadcaster's archives ensures the conservation of cultural heritage for future generations. The Public Broadcaster archive houses analog film, video, audio, and photo materials recorded using various optical and magnetic methods. It manages the storage and protection of original and duplicate audio, video, film, and photo documents owned, produced, commissioned, or acquired by the Public Broadcaster, including feature and documentary films produced by the Georgian Television Film Studio since 1968, created by renowned screenwriters, directors, and cinematographers. These films are invaluable assets of Georgian culture, and their digitization enhances accessibility for a global audience.

The Public Broadcaster's archive comprises three primary collections: audio, film/photo, and video funds.

The audio fund is the oldest collection in the archive. It builds on the materials of Radio Georgia, the first to

broadcast in the Transcaucasian region. The inaugural radio program, a concert featuring Maro Tarkhnishvili's folk ensemble, aired on May 23, 1925. Since 1927, Radio Georgia has been producing regular programs in multiple languages, including Kurdish, Russian, Armenian, and Azerbaijani.

Since the 1940s, Georgian radio has utilized magnetic sound recording technology, thus setting the stage for creating and preserving a unique cultural heritage. The nature of live broadcasting fostered the development of artistic collectives, bringing together prominent figures from Georgian musical and theatrical arts and literary circles. Notable performers included Vano Sarajishvili, Mary Nakashidze, Davit Andghuladze, and Davit Gamrekeli. Renowned composers Dimitri Arakishvili, Shalva Mshvelidze, and Andria Balanchivadze contributed significantly to the archive. Georgian folklore was represented by Maro Tarkhnishvili, the Erkomaishvili brothers, Sandro Kavsadze, and the Debi Ishkhneli ensemble. Such esteemed writers and poets as Akaki Tsereteli, Galaktion Tabidze, Gogla Leonidze, Grigol Robakidze, Shalva Dadiani, Simon Chikovani, and Konstantine Gamsakhurdia also played a pivotal role in enriching the archive's cultural heritage.

All fields of Georgian progress in science, culture, sports, politics, and public life are documented in these funds through performances, speeches, reports, radio plays, recordings, and theatrical productions. During World War II, Georgia, particularly Tbilisi, became a refuge for prominent figures in art and culture evacuated from the front lines, including individuals of global significance. This influx significantly enriched the radio archives with contributions from world-renowned artists. Before the establishment of the recording company Melodia, Radio Georgia served as the sole recording studio in the region. At various times, renowned performers like Feodor Shalyapin, David Oistrakh, Mstislav Rostropovich, Stanislav and Heinrich Neuhaus, Grigory and Leonid Kogan, Beniamino Gigli, and Van Cliburn visited Radio Georgia, recording in its studio or concert halls.

The archive's funds boast a wealth of records featuring world-renowned Soviet and foreign scientists and cultural figures visiting Georgia, including David Lang, Brahma Kumar, Leo and Alexander Tolstoy, Anna Akhmatova, Arsenii Tarkovsky, Nazim Hikmet, Rasul Gamzatov, and others. Additionally, the radio fund contains restored and cleaned records from the first sound recording company in Transcaucasia, Gramophone, active in 1901-1914. Notably, classic Georgian author Akaki Tsereteli, recorded some poems at the request of the public in this studio.

The archive holds a vast collection of both local and foreign recordings, an invaluable treasure of national cultural heritage and an audio chronicle of the 20th century. The fund is continuously enriched with new productions from public radio, material sourced from private collections and archives. It houses approximately 3,000,000 analog phonogram tapes and recordings on DATI and CD hard drives. Since 2007, audio materials have been systematically transferred to digital format, with complete information stored in a new computer database.

The film fund contains over 16,463 units and 55,760 boxes, making it one of the oldest and largest collections in the archive. It comprises originals and copies of 35 mm feature, documentary, chronic, musical, animated films, film performances, and stock materials on negative and positive tapes. Ancient Georgian and foreign film chronicles, as well as copies of feature and documentary films, offer a comprehensive reflection of the social, political, and cultural life of 20th-century Georgia.

Established in 1961, the photo fund showcases portraits of Georgian radio and television personalities, work processes in studios, TV show caps and covers, and portraits of historical figures from literature, art, science, and public life events. Most of the photos, slides, and negatives have been processed and transferred to digital format, including reproductions of Georgian artists.

The video fund preserves recordings from the establishment of video recording systems since the 1970s, on various analog and digital carriers. It contains recordings of TV reports, performances, concerts, literary and artistic materials, advertisements, films, and exchange programs. Notably, some 80 performances of the TV Theater of Georgian Television have been digitized, preserving landmark performances of Georgian dramatic theater and unique material depicting the life and work of Georgian artists.

The archive of the Public Broadcaster serves as a digital history of cultural heritage, representing an invaluable resource for modern Georgian society. Previously intended mainly for internal use, the archive is now accessible to all stakeholders in digital format, facilitating

various purposes such as film and program production, scientific research, educational endeavors, and more.

While the archive stands out as one of the oldest and most unique in Europe, it has suffered losses over the years due to various reasons. Nevertheless, efforts are ongoing to preserve and protect its contents. As the head of the archive, I am pleased to introduce the scientific community to the significance of these materials for further research and exploration.

REFERENCES:

- Jamie Medhurst, Professor of Media and Communication, Aberystwyth University-Wales Broadcast Archive: UK's first national archive shows importance of preserving our audiovisual history-https://theconversation.com/wales-broadcast-archive-uks-first-national-archive-shows-importance-of-preserving-our-audiovisual-history-201688
- Rezza Moieni., Leyla Roohi and Subariah Ibrahim-A practical Approach in Digitizing Analogue Audio Assets-https://www.researchgate.net/publication/235222209_A_Practical_Approach_in_digitizing_Broadcast_Archives,
- Silvester Stöger, Jean-Christophe Kummer, NOA, Austria – Broacaster's dilemma with archive asset management: torn between long term and production requirements - Iasa journal no 48 – February 2018
- Anderson, Clifford B. - Preservation and archiving of digital media - https://content.iospress.com/articles/information-services-and-use/isu200085
- Published by the European Audiovisual Observatory- Digitisation and Online Exploitation of Broadcasters' Archives, 2010 - https://rm.coe.int/digitisation-and-online-exploitation-of-broadcasters-archives/1680783c1e